საქართველოში 26 060 მდინარეა, საერთო სიგრძით 60 000კმ, უნდა აუქმდეს იმდენი პატარა ჰესი, რომ საქართველო 5-7 წლის შემდეგ უარი თქვას ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის შექმნაზე; მომავალში საქართველო უნდა შექმნას აუცილებლად საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოება

ვით ვენახებისა და ხილის ბაზრის განვითარებას;

19. საქართველოს „განარკომანებული“ ნიადაგებზე დაეწინაურდეს მინერალური სასუქების მეთვანის შემცირება და ბი-

ბის მინერალური კონსოლიდაცია და დაეწინაურდეს თესლბრუნვების დამკვიდრება;

20. გადაუდებელი აუცილებლობაა, ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-
21. გადაუდებელი აუცილებლობაა წარმოადგენს, დაეინცოთ ქარსაფარი (მინდორსა-
22. არ არის საკმარისი გასარწყავების, დაჭაობებული ფართობების აღდგენის, მოკირიანებისა და მოთაბაშირების საშუალებები, საჭიროა, სულ ცოტა, ამ საშუალებების გაორმაგება, უნდა მივიღწიოთ იმას, რომ საქართველოში ერთ მოსახლეზე სახნავი მიწა იყოს 0,3 ჰექტარი;
23. მივიღოთ მინის კოდექსი და აღვადგინოთ მინის ბალანსის წარმოება;
24. საჭიროა, უმალეს დონეზე განვითაროთ სამკურნალო ტურიზმი;
25. გატარდეს რადიკალური ღონისძიებები 700 დაცარიელებული სოფლის აღდგენისთვის, რისთვისაც საჭიროა, განხორციელდეს სოფლის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რათა სოფლის ცხოვრება დაუახლოვდეს ქალაქის ცხოვრების მიწიმაღურ დონეს მაინც;
26. ყველა შესაძლო კანონიერი ღონისძიებით მაქსიმალურად შემცირდეს ქართული ახალგაზრდების გადინება საზღვარგარეთ;
27. საქართველოში 26 060 მდინარეა, საერთო სიგრძით 60 000კმ, უნდა აუქმდეს იმდენი პატარა ჰესი, რომ საქართველო 5-7 წლის შემდეგ უარი თქვას ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის შექმნაზე;
28. მომავალში საქართველო უნდა შექმნას აუცილებლად საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოება;
29. რაც მთავარია, მაქსიმალურად აღმოიფხვრას კორუფცია და ნეპოტიზმი.

საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლის ვინაობით, ლიდარ 5 ქვეყანაში რუსეთი და უკრაინაა



ეროვნული ბანკის ინფორმაციით, თებერვალში საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალმა 105.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი მიმდინარე წლის იანვარში 114 მლნ დოლარი იყო, ხოლო 2021 წლის თებერვალში — 13.7 მლნ აშშ დოლარი.

- საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები ქვეყნების ტომ-ხუთეულის მიხედვით შემდეგია:
- * ევროკავშირის ქვეყნები — 16.2 მლნ აშშ დოლარი;
 - * რუსეთი — 14.7 მლნ აშშ დოლარი;
 - * თურქეთი — 11.9 მლნ აშშ დოლარი;
 - * ისრაელი — 10.8 მლნ აშშ დოლარი;
 - * უკრაინა — 10.1 მლნ აშშ დოლარი.

მთავრობა გარეგნულ ურთიერთობებში უკრაინის მხარეზე უნდა იქცეს


რუსეთის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ სასურსათო უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით დგას მსოფლიოში. ხორბალი 100 დოლარზე მეტით არის გაძვირებული. ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ლეონ სილაბაძე ამბობს, რომ ქვეყანას ხორბლისა და ფქვილის 2-თვიანი მარაგი აქვს, ამის შემდეგ კი სუბსიდირების მექანიზმის ამოქმედება, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია.



„მსოფლიო ბაზარზე ხორბლისა და ფქვილის ფასი მნიშვნელოვნადაა მომატებული, იქიდან გამომდინარე, რომ ამ პერიოდში მსოფლიოს მოაკლდა ხორბლის მიწოდების 30%. უკრაინა თავისთავად და რუსეთშიც იყო დეფიციტი. ქვეყნები ყიდულობენ იმაზე მეტ ხორბალს, ვიდრე ჩვეულებრივ. ომის დაწყებამდე თუ ტონა ხორბლის ფასი იყო 320-330 დოლარის ფარგლებში, დღეს არის 420 დოლარი. ფასების მერყეობა საკმაოდ მაღალია. საქართველოში 90% შემოდის რუსეთიდან, ლოგისტიკური კუთხით მთლიანობაში ყველაზე იაფი შემოტანა არის რუსეთიდან. ხორბალი გვაქვს ერთი თვის მარაგი და ფქვილიც დაახლოებით ერთი თვის. ეს არის სტანდარტი, რომელიც სასურსათო უსაფრთხოების თემაში ჯდება. მარაგის პარალელურად შემოდის დაახლოებითი პარა დენობა, რომელიც,

ვთქვით, იხარჯება, ეს არის მუშა პროცესი. ნაწილი შემოდის რუსეთიდან, არის ძველი კონტრაქტები მულტინაციონალურ კომპანიებთან, მათ აქვთ ოფისები შვეიცარიაში, საფრანგეთში. აქვთ პირობა, რომ შეასრულონ კონტრაქტები. გარკვეულწილად ეს მოდის რუსეთიდან, მაგრამ პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყნები გადაწყვიტეს. უკრაინაში კითხვის ნიშნის ქვეშაა, დაიწყება თუ არა ხენა-თესვის საშუალებები. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩვენი გამოწვევა არის, გადავერთოთ სხვა ქვეყანაზე და ამაში გვეხმარება 2-თვიანი მარაგი, რომელიც ახლა ქვეყნის შიგნითაა და რის გამოც შესაძლებლობა გვაქვს, გადასვლა

კოლექტიური დასავლეთი ურცხვად ამოგზავნა, რომ უკრაინა, უნიტარულად, აზრ-ის დახმარებით, კოლექტიური დასავლეთის ფასეულობა-ღირებულებების დასაცავად იბრძვის. ურცხვად იმიტომ, რომ ქრისტიანულ ფასეულობაზე აღმოცენებული, მართლაც მსოფლიო ღირებულებების დიდი ევროპული, გენეზით, ანგლოსაქსური კულტურა (მხარეობა, ლიტერატურა, კინემატოგრაფია და ა.შ.), დიდი ხანია, მოკვდა და მათი ერთადერთი ფასეულობა ლგბტ-ობა და მისგან შობილი „სიკეთეობა“ — ინცესტი, პედოფილია, ზოოფილია და ა.შ. სიმბოლურია, რომ ლგბტ „სიკეთეობის“ ტრიუმფალური სვლა სსრკ-ის დაშლისთანავე დაიწყო. როდესაც გაეროს შესაბამისმა უწყებამ მამათმავლობა დაავადებათა სიდიდან ამოიღო და მის ნაცვლად, არც მუტი, არც ნაკლები, სიყვარული (დაიხ, თვალი არ გატყუებო) შეიტანა, როგორც ადამიანების ფსიქიკური გადახრა. მას შემდეგ ლგბტ-ობა ეგზემასავით მოედო კოლექტიური დასავლეთის ქვეყნებს, სადაც მათ ჯერ თანასწორობას მიაღწიეს, შემდეგ კი პრივილეგიებიც მოიპოვეს — მაგალითად, თანაბარი კვალიფიკაციის ხალხის სამსახურში მიღებისას, უპირატესობას, როგორც „ჩაგრულებს“, ლგბტ პირებს ანიჭებენ. შედეგად მივიღეთ ის, რომ სახელისუფლო სტრუქტურებში ლგბტ უმცირესობა მართლაც ნორმალური ორიენტაციის უმრავლესობას, რაც დემოკრატიის ფუნდამენტური პოსტულატია — უმრავლესობა მართავს უმცირესობას — უხეში დარღვევაა.



აპი მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქართველ მართლმადიდებელ საზოგადოებას შეეახსენებ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის — ილია II-ის არც ისე დიდი ხნის წინანდელ ქადაგებას, რომელშიც საქართველოს სულიერი მამა და, ჩემი აზრით, ერთადერთი უანგარო პატრონი და გულშემატკივარი ქართველი ერისა, ე.წ. მეორედ მოსვლის მოახლოებაზე ქადაგებდა.

„ქრისტეს მეორედ მოსვლამდე დარჩენილია დღეები, შეიძლება საათებიც კი“ — ეს პატრიარქის სიტყვებია და იმ ქადაგების შემდეგ ბევრმა დღემ და უფრო მეტმა საათმა ჩაიარა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პატრიარქი შეცვდა. ასე მხოლოდ უღმერთო სატანისტები ფიქრობენ და პატრიარქის „ტყუილი გამოჭერის“ გამო სიამოვნებით ხელს იფშვნიან. ჩვენ კი, რომელთა მორწმუნეობაც ყოველ დღეს სანთლების დანთებითა და ხატების წინ „მამაო ჩვენო“ წაკითხვით ამოიწურება, ანუ, სამწუხაროდ ეკლესიური ცხოვრებით ვერ დაიკვივებით, მაინც დედაეკლესიის მრევლად მივიჩნევთ თავს იმ წინოსანთაგან განსხვავებით, რომლებიც რელიგიურ დღესასწაულებზე კელატრებით ხელში პატრიარქის წინაშე „მარიათობენ“ და ერთი სული აქვთ, როდის დასრულდება მათთვის პროტოკოლით გათვალისწინებული ტანჯვა — წირვაზე „აბეზალოვკა“ დოგმა. აი ამ წინოსანთაგან განსხვავებით, თუ საჭირო შეიქნა, დედაეკლესიის ლიბერალისტებისგან დასაცავად ხელში იარაღს უყოყმანოდ ავიღებთ და ასეთი „არა ეკლესიური“ ათასები ვართ... რომ იტყვიან, კალამი გამეცქა, თანაც ტრამპის კენ, მაგრამ ისეთის კენ, რომელიც მთავარ სათქმელს წაადგება — პატრიარქის ქადაგებამ დღევანდელი და საათების თვლა კი არ დამაწყებინა არასამთავრობო თუ სამთავრობო „ხლისტებივით“, არამედ ჩამაფიქრა და უბრალო მოსკოვი, მგონი, მივხვდი, რისთვის დასჭირდა საქართველოს სულიერ მამას ისედაც დაზაფრული ხალხის უფრო დაზაფრვა. არ ვიცი, ზუსტად როდის იქნება მეორედ მოსვლა, მაგრამ, მიუხედავად ჩემი არაეკლესიურობისა, იმდენი კი ვიცი, რომ ზიზზის მინდვით მეორედ მოსვლას სატანის მეფობა უძღვის წინ და, რადგან ჩვენმა პატრიარქმა მეორედ მოსვლის მოახლოებაზე იქადაგა, გამოდის, სატანა უკვე მეფობს დედამიწაზე.

წინამდებარე წერილის სათაურიც ამ ლოგიკიდან გამომდინარე იქნა — ვისაც სატანა ჩლიქებიან-რქებიანი ხილული მონსტრი ჰგონია, რბილად რომ ვთქვათ, ცდება... რუსეთის პრეზიდენტმა თავის დროზე სსრკ-ის დანგრევას XX საუკუნის გეოპოლიტიკური ტრაგედია რომ უწოდა, „დემოკრატიული“ მსოფლიოს, ე.წ. კოლექტიური დასავლეთის, უწინარესად, აშშ-ის აღშფოთება გამოიწვია — როგორ, რონალდ რეიგანის მიერ „ბორტების იმპერიად“ წოდებული სსრკ და გეოპოლიტიკური ტრაგედია? მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ? ეს ყველაფერი უურნალი ყოფილა და, აჰა, კინისაც ქვემოთ იხილავთ... წერილის სათაურში უკრაინაში აშშ-ის „დემოკრატია“ რომ იგულისხმება, ალბათ, მიმიხვდებოდით. აქედან გამომდინარე, კოლექტიური დასავლეთი ურცხვად ამბობს, რომ უკრაინა, უწინარესად, აშშ-ის დახმარებით, კოლექტიური დასავლეთის ფასეულობა-ღირებულებების დასაცავად იბრძვის. ურცხვად იმიტომ, რომ ქრისტიანულ ფასეულობაზე აღმოცენებული, მართლაც მსოფლიო ღირებულებების დიდი ევროპული, გენეზით, ანგლოსაქსური კულტურა (მხარეობა, ლიტერატურა, კინემატოგრაფია და ა.შ.), დიდი ხანია, მოკვდა და მათი ერთადერთი ფასეულობა ლგბტ-ობა და მისგან შობილი „სიკეთეობა“ — ინცესტი, პედოფილია, ზოოფილია და ა.შ. სიმბოლურია, რომ ლგბტ „სიკეთეობის“ ტრიუმფალური სვლა სსრკ-ის დაშლისთანავე დაიწყო. როდესაც გაეროს შესაბამისმა უწყებამ მამათმავლობა დაავადებათა სიდიდან ამოიღო და მის ნაცვლად, არც მუტი, არც ნაკლები, სიყვარული (დაიხ, თვალი არ გატყუებო) შეიტანა, როგორც ადამიანების ფსიქიკური გადახრა. მას შემდეგ ლგბტ-ობა ეგზემასავით მოედო კოლექტიური დასავლეთის ქვეყნებს, სადაც მათ ჯერ თანასწორობას მიაღწიეს, შემდეგ კი პრივილეგიებიც მოიპოვეს — მაგალითად, თანაბარი კვალიფიკაციის ხალხის სამსახურში მიღებისას, უპირატესობას, როგორც „ჩაგრულებს“, ლგბტ პირებს ანიჭებენ. შედეგად მივიღეთ ის, რომ სახელისუფლო სტრუქტურებში ლგბტ უმცირესობა მართლაც ნორმალური ორიენტაციის უმრავლესობას, რაც დემოკრატიის ფუნდამენტური პოსტულატია — უმრავლესობა მართავს უმცირესობას — უხეში დარღვევაა.

ოპი რუსეთის გარეხი გარტლგაღიდაკალი სამყაროს გარეხი იქნება



სიბოლური, რომ 24 მარტს ბრიუსელი შეიკრიბა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის (ევროკავშირი, ნატო, ევროსაბჭო), რომლებიც პოლიტიკურ ამინდს ქმნიან მსოფლიოში. მათი „თამადა“, რა თქმა უნდა, აშშ-ის პრეზიდენტი ჯო (ბი-ბი) ბაიდენი იყო. ყველა სამიტის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, უკრაინაში დაღუპული ბავშვები გახლდათ, მაგრამ არაფერი თქმულა რუს ბავშვებზე — განა დონეცკ-ლუბანსკში, სადაც ყველაზე სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს, არც ერთი რუსი ბავშვი არ დაღუპულა? აი, ეს არის კოლექტიური დასავლეთის ე.წ. ორმაგი სტანდარტი, თორემ ბავშვი ბავშვი. ბავშვი უკრაინელიც მეცოდება და რუსიც. ანალო-

გიურის თქმა პროდასავლურ ტელემედიკაზე შეიძლება — იქაც ორმაგი სტანდარტებია. ომში, სამწუხაროდ, ბავშვებიც იღუპებიან, მაგრამ „რუსმა აგრესორებმა მორიგი ბავშვი მოკლეს“ — ასეთი ტექსტით მონოდებული ინფორმაცია ნიშნავს იმას, რომ რუსი, თუნდაც აგრესორი და ოკუპანტი ჯარისკაცი დამიზნებით ესვრის ბავშვებს. მიუხედავად იმისა, რომ „სილქენტმა“ „დემოკრატიულად“ და „პატრიოტულად“ გამოითქვა რუსული არხები და ამ მხრივ ინფორმაციულ ვაკუუმში ვიმყოფები, ასეთი სისულელეს მანაც ვერ დავიჯერებ.

ზემოთ კითხვა დავსვი — ვინ დაიწყო ევროპაში ომი, რომელსაც ახალი საზღვრები, ერთი სიტყვით ევროპის პოლიტიკური რუკის გადაკეთება მოჰყვა-მეთქი?

არ ვიცი, სპეციალურად თუ შემთხვევით ზემოხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციების სამიტები 24 მარტს, ანუ ნატოს ავიაციის მიერ იუგოსლავიის დაბომბვის დაწყებიდან ზუსტად 23 წლის შემდეგ გაიმართა. 1999 წლის 24 მარტს დაიწყო ჯერ კიდევ ერთიანი იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადის უმონყალო დაბომბვა... 78 დღე-ღამის განმავლობაში უწყვეტი სარაკეტო თუ საავიაციო დაბომბვებისას ბელგრადში 14 ათასი ბომბი, 3 ათასი ფრთოსანი რაკეტა, სულ 22 ათასი ტონა საბრძოლო მასალა აფეთქდა. შედეგად დაიღუპა ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის — 400 ბავშვი; დაიჭრა და დასახინდა 10 ათასი ადამიანი.

ამ ოპერაციას, რომელშიც მონაწილეობდა ნატოს წევრი 19 ქვეყანა, ადამიანის უფლებების დასაცავად ჰუმანიტარული ინტერვენცია დაარქვეს. გერმანიის საგარეო საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა იოჰან ვიშერმა ურცხვად განაცხადა, სერბები კოსოვოელ ალბანელებს ახალ ოსვენციმს უშზადებდნენო. ამ ყველაფერზე სიტყვა რომ არავის დაუსველებია ბრიუსელში, ცხადია. ევროპის სახელმწიფოების პირველი პირთაგან ერთადერთმა სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ვუჩიჩმა გაბედა სიმართლის თქმა.

არადა, იუგოსლავიაში მომხდარის გამო საბრძოლველ საქმეში მიღობილი და პარაზირი კი არა, აშშ-ის იმჟამინდელი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ყოველგვარ შემოთქმულის ერთ-ერთი შემოქმედის იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი უნდა მსხდარიყვენ. ასეთი ხალხის მიერ რუსეთის ბრალდებების წაყენება აბსურდიაო, — ბრძანა ერთმორწმუნე სერბი ხალხის ლიდერმა.

ალსანიშნავია, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი 23 მარტს, ბრიუსელის „დემოკრატიისა“ და ბელგრადის დაბომბვის დაწყების წინა დღეს გარდაიცვალა.

დავით მხაიკა

P.S. ცნობილი რუსი პოლიტოლოგის, ანდრეი კოკოშინის, ინფორმაციით, 1950-53 წლების კორეის ომის შემდეგ აშშ 30-ზე მეტჯერ ჩაერია სხვა ქვეყნების სუვერენიტეტში და სისხლისა და ცრემლის გუბებზე დააყენა.



ნატოს ავიაციის მიერ დაბომბილი ბელგრადი. 1999 წ.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოეტთა მიერ გალაკტიონის ხან ნესტორას, ხან კი იპოლიტის „გუდაკას“ სტუმრობდა. ხშირად მოდიოდა თავისი ძველი, გვარინად გაცემილი ყავისფერი პორტფოლით. იმ პორტფოლს ჯიხუის თაროზე დადებდა, გახსნიდა და დიდი გულმოდგინებით ამოიღებდა ვერის ბაზარში ნაყიდ ქორფა ბოლოქის კონას. ჯერ ხელზე დაიფარებდა, მერე მიმართავდა — აბა, ჩემო ნესტორ (ან იპოლიტი), ერთი შენებურად გამირეცხეო.



ოთარ მარგველაშვილი

ძალიან ხშირად, სკოლიდან შინ მომავალი, ქუჩაში გალაკტიონს ვხვდებოდი. სტუდენტულაქსა და სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტს შორის წრეს უვლიდა მეხუთე ნომერი ტრამვაი, მერე თავის მარშრუტს უკან, ვერისა და „ზემელის“ გავლით, ყოფილი კაფე „მეტროს“ გვერდის ავლით კოლმეურნეობის მოედნისკენ ხრილობით ჩაიქროლებდა.

ვაკეში, ტრამვაის ბოლო გაჩერებასთან იდგა ცნობილი „ნესტორას ბუდეა“. ცოტა მოშორებით, ფალიაშვილის ქუჩაზე, უცხო ენათა ინსტიტუტის გვერდით კი ასევე „პოპულარული“ ხის „ბუდეა“ ედგა იპოლიტეს. ორივენი ჩამოსასხმელი ლუდი და არყით ვაჭრობდნენ. ჯიხურებში იატაკზე ხის მომცრო კასრებით მსხვილმარცვლოვანი შავი ხიზილალა ჩაედგათ. მუშტარს, უმთავრესად, სამსახურიდან მომავალ კაცებს, შავი პურითა და ხიზილალით უმასპინძლებდნენ. ხიზილალას კასრებიდან ხის თეთრი ქათქათა კოვებით იღებდნენ, ბარაქიანად უსვამდნენ პურზე, ხორბლის თავთავებით დამშვენებული ქართულეტიკეტებიანი ბოთლებიდან კი არაყს ჩამოუსხამდნენ და, ღმერთმა შეგარგოთო, ალაღად მიაყოლებდნენ. კლიენტებიც ერთ-ორ სირჩას გადაჰყრავდნენ, ერთ კათხა ჩამოსასხმელ ლუდსაც დააყოლებდნენ და შინისკენ სასიამოვნო განწყობით გასწევდნენ.

კიდევ რით მახსოვს ეს პატარა ლუდის ჯიხურები, იცით? რაც ახლა უნდა გაიმბოთ, შეიძლება ზოგს გადაჭარბებულადც მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია და მას ვერსად გაექცევი. ორივეს — ნესტორასაც და იპოლიტესაც — ხშირად სტუმრობდნენ „ზორბა“ კატეგორიის ყველას აკვირებდა მათი სიდიდე და ფუმფულა, ლამაზი ბუნჯი. „საიდუმლო“ იმაში მდგომარეობდა, რომ მეჯიხურეები მუშტარებს დომობაც უმასპინძლებდნენ, დოში კი „ბუდეის“ კუთხეში, მავთულის კავზე ჰქონდათ ჩამოკიდებული. ისეთი თევზი იყო, სულ ქონი გასდიოდა. ხელმომჭირნე და ყაირათიან დახლიდარებს, ქონი უქმად რომ არ დაეღვარათ, ქვეშ თუნუქის კონსერვის ქილები ჰქონდათ შედგმული. კატები კონსერვის ქილებიდან არხეინად სვლევდნენ დოშის ქონს. „ასე რომ მანებებდნენ, კნავილსაც დაეინყებდი და თავველსაც მუსრს გავავლებდიო“, — იხუმრებდა ხოლმე რომელიმე უნაკეობი მკინახე... ბავშვები ვიყავით და ბავშვური სანახაობები გვიტაცებდა. გარშემო ბევრი ისეთი რამ ხდებოდა, რასაც ჩვენს თვალში მერე და მერე უფრო დიდი ფასი დაეძღვა. **პოეტთა მიერ გალაკტიონის ხან ნესტორას, ხან კი იპოლიტის „გუდაკას“ სტუმრობდა. ხშირად მოდიოდა თავისი ძველი, გვარინად გაცემილი ყავისფერი პორტფოლით. იმ პორტფოლს ჯიხუის თაროზე დადებდა, გახსნიდა და დიდი გულმოდგინებით ამოიღებდა ვერის ბაზარში ნაყიდ ქორფა ბოლოქის კონას. ჯერ ხელზე დაიფარებდა, მერე მიმართავდა — აბა, ჩემო ნესტორ (ან იპოლიტი), ერთი შენებურად გამირეცხეო.**

ისიც მონივნებით ჩამოართმევდა და მაშინვე მიუშვერდა ონკანს, რომელიც იქვე, „ბუდეის“ გვერდით ჰქონდა. წყლის

ჭავჭავი იმ ბოლოკს კარგად გაახანხლებდა და ისე მიართმევდა გალაკტიონს, როგორც გამორჩეულ ნუგბარს. გალაკტიონიც შეუდგებოდა ტრამპებს — გადაჰყრავდა არაყს და კონიდან თავისი ხელის მოწყვეტილ ნითელ ბოლოკს მიატანდა. ზოგჯერ მწვანე, ქორფა ფოთოლსაც დააყოლებდა ხოლმე. როგორი სანახავი იყო, ჰა? დიდებული პოეტი, ძველებური ლუდის ჯიხური და... „ხარაზების სუფრა“! ახლაც სიზმარით მახსენდება ჩემს ცნობიერებაში აღბეჭდილი ეს რეალური სცენები: **იღბა თაროს დაყრდნობილი გალაკტიონი, თავის არააქვეყნიურ ფიქრებში ნასული (დასაჯდომი სკამი სად იყო), და ვინ იცის, იქნებ „ლუკა ხანაძის“ რომანტიკასაც ელაცინებოდა! მის ირგვლივ კი დულდა, ბრუნავდა ტრამვაის ვაგონების ღრუბლის ფონზე თითქოს ერთფეროვანი, ჩვეულებრივი და მიწვევით მღვდლურად ცხოვრება, რომლის სივრცეშიც იმდენი, 11-12 წლის პატარა ბიჭების, გამოცხადებული თვალეზი ირეკლებოდა. ვიცოდით, რომ ეს ნაერამოვებული კაცი, პიჯაკზე ლენინის ორდენით (პარადოქსია, რომ სათაყვანებელი მეუღლის, ოლია ოკუჯავას დაპატიმრების შესამე დღეს გალაკტიონი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს), **ლამს-პა ნარდა და განიხილავდა პოეტი იყო, თუმცა მის პოეზიას ჯერ კიდევ არ ვიყავით ნაზიარები. ვიდრე, რომელიმე ვაჭარად, რომელიმე რაღაც სანაშაურს — ჩვენთვის ამოუცნობს, უცნაურსა და მიუხერხებულს. შემოგვხვდავდა. ჩაედიმებოდა, ალბათ, სიამოვნებდა ჩვენი მისდამი ასეთი გამორჩეული ყურადღება: ასე იყო თუ ისე, რაღაც პატარა აუდიტორიას ხომ მაინც წარმოვადგენდით? თუმცა ამ პატარა ბიჭებს ნიგნებით გაბერილი ჩანთებით გაკვეთილები უნდა მოგვემზადებინა და ამიტომაც შემოგვძახებდა:****

გალაკტიონი და ნესტორას ჯიხური



იღბა თაროს დაყრდნობილი გალაკტიონი, თავის არააქვეყნიურ ფიქრებში ნასული (დასაჯდომი სკამი სად იყო), და ვინ იცის, იქნებ „ლუკა ხანაძის“ რომანტიკასაც ელაცინებოდა! მის ირგვლივ კი დულდა, ბრუნავდა ტრამვაის ვაგონების ღრუბლის ფონზე თითქოს ერთფეროვანი, ჩვეულებრივი და მიწვევით მღვდლურად ცხოვრება, რომლის სივრცეშიც იმდენი, 11-12 წლის პატარა ბიჭების, გამოცხადებული თვალეზი ირეკლებოდა. ვიცოდით, რომ ეს ნაერამოვებული კაცი, პიჯაკზე ლენინის ორდენით (პარადოქსია, რომ სათაყვანებელი მეუღლის, ოლია ოკუჯავას დაპატიმრების შესამე დღეს გალაკტიონი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს), **ლამს-პა ნარდა და განიხილავდა პოეტი იყო, თუმცა მის პოეზიას ჯერ კიდევ არ ვიყავით ნაზიარები. ვიდრე, რომელიმე ვაჭარად, რომელიმე რაღაც სანაშაურს — ჩვენთვის ამოუცნობს, უცნაურსა და მიუხერხებულს. შემოგვხვდავდა. ჩაედიმებოდა, ალბათ, სიამოვნებდა ჩვენი მისდამი ასეთი გამორჩეული ყურადღება: ასე იყო თუ ისე, რაღაც პატარა აუდიტორიას ხომ მაინც წარმოვადგენდით? თუმცა ამ პატარა ბიჭებს ნიგნებით გაბერილი ჩანთებით გაკვეთილები უნდა მოგვემზადებინა და ამიტომაც შემოგვძახებდა:**

— სკოლიდან მოდიხარო, ბიჭუნებო? რა კარგები ხართ! აბა, ნადით ახლა სახლებში, გაკვეთილები მოამზადეთ და რომელიმე ჩვენგანს თავზე მოფერებით ხელს მოგვითათუნებდა... ნავიდოდით, აბა, სხვა რა გზა გვექონდა... **ტრამვაის კაც მინახავს იგი უკანა სკამზე ჩამოკიდებული. მასზე ჩამოკიდებული იყო „პომპი“ იყო, ტრამვაის ბოლო გაჩერებაზე აუცილებლად რომ უნდა ჩამოეცდოთ.**

— **Конечная остановка! Освободите вагон!** გალაკტიონს კი, უთავბოლო, აწენილი ცხოვრებისგან „შებარბაცებულსა“ და დადღ-

ილ-დაქანცულს, ღრმად ჩასძინებოდა და ეს მბრძანებლური შეყვირება არ ესმოდა, გულზე მიხუტებული ჩანთით ადგილიდან არ იძვროდა. კონდეუქტორი უხეშად შეანჯღრევდა ხოლმე და გამყინავი ხმით დასჩხავლებდა: — **Эй, ты, проснись и вываливай отсюда!** ერთი სიტყვით, ჩაეთრიეო. ახალგაღვიძებული, თვალეზიანითლებული გალაკტიონი, სხვა გზა არ იყო, ტრამვაიდან მიმედ ჩავიდოდა. ვიდრეც პატარა ბიჭი და საკუთარი უმწეობისა მრცხვენოდა — გული

მწყდებოდა, თვალეზი მცრემლებოდა, რომ ამ ქალის უხეში და უტიფარი ძალადობისაგან დიდი პოეტის დაცვა არ შეეძლო. მოგვიანებით, ჩვენი ძველი პენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე პედაგოგის, მარია დოჭვიანი, დიდი ძალისხმევით, გალაკტიონი ჩვენს სკოლაში მოგვრჩა. ჩვენი მერ-ვაჟთა სკოლის (ახლა 55-ე სკოლა) კლასის მოსწავლეები თაიგულით მივედით მწერალთა კავშირში პოეტთან გამოსათხოვებლად.

დაღონებულეებს, ბევრს ცრემლი მოგვეკრია. **ოთარ მარგველაშვილი**

რა თქმა უნდა, მოგვიანებით ყველამ შეიცვალა, სინამდვილეში ვინც იყო ამ ლექსის ულამაზესი ადრესატი — მერი შერვაშიძე. უმწვენიერესი მერი პეტერბურგში, იმპერატორის კარზე ფრეილინა გახლდათ. საგულესხმოა, რომ სრულიად რუსეთის იმპერატორს, ნიკოლაი მორავს, მერი შერვაშიძისთვის თვალის რომ შეუვლია, გაცეცხულა და აღდროთვანებულს აღმოხდენია: „**Княжна, грешно быть такой красивой!**“ შემდეგ მერი შერვაშიძე სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა პარიზში, იყო **სოქო შანელის** მუხა და გამორჩეული მოდელი, აღესრულა 98 წლისა. საუკუნეზე მეტი ხნის ნინათ, როდესაც იმპერატორს სიხარულით მოახსენეს, რომ ბათუმთან, ჩაქვი, შესაძლებელია ჩაის გაშენება, მცირე ფიქტის შემდეგ მან მოხსენებთ ბარათს წაანერა: „**როგორც ჩემთვის ცნობილია, ჩემი კოლონიური შრომის მონიშნვე, მე კი არ მსურს, რომ ისეთი მშვენიერი იყოს, როგორც ქართველი ანტიარაბი, მაგალიტა**“.



გაბრიელ მცირეს თავისი წვლილი შეუტანია ქართული მწერლობის ისტორიაში. კ. კეკელიძის ცნობით, მას მოღვაწეობა დაუწყია 1780 წლიდან. მწერლობის, როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე იმ დროის გამორჩეულ პირთა დაკვეთით (გაბრატი და ფარნავაზ ბატონიშვილების, ენისელთ მოურავის ძის, ნინოწმინდის მიტროპოლიტისა და რუსთავის მთავარეპისკოპოს სტიფანეს) გადაუწერია სხვადასხვა ხელნაწერი.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ღირს მამებს, რომლებიც დავით გარეჯში მოღვაწეობდნენ. ამჯერად სამ მათგანზე ვისაუბრებთ. ესენია პიმენ სალოსი და ანტონი მესხი, რომელთა ხსენების დღეა 29 მარტი, და ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი და კალიგრაფი — გაბრიელ მცირე, რომელსაც ჩვენი დედაეკლესია 30 მარტს მოიხსენიებს.

წმიდა პიმენ სალოსი დაიბადა XIII სს. 60-იან წლებში. წმიდანი წარმოშობით კახეთის თავადთა გვარიდან იყო — „კეთილშობილთაგანი“. წმიდა პიმენი ბავშვობიდანვე ღვთისმოსიებით ალიზარდა. სასულიერო და საერო მეცნიერების „ხედვითი და ღვთისმეტყველებითი სიბრძნის“ უბადლო მცოდნე პიმენი დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა ღვთის სათნო ცხოვრებით.

წმიდა პიმენი მის „ხედვით და ღვთისმეტყველებით სიბრძნეს“ მოგონილი სისულელით მალავდა „და იქმნა იგი ქრისტესათვის სალოსი“. წმიდანი უშიშრად ამხელდა ძლიერთა ამა სოფლისა, მეფეთა და მთავართა უსამართლობასა და უნესობას. ღრმად განათლებული წმიდა მამა იყო „მამილელებელ უსამართლობასა და უნესობასა ზედა მეფეთა და მთავართა არა თუ სიტყვით, არამედ ნერილებითაცა“.

წმიდა ანტონი მესხი, ღრმად განათლებული „მოღვაწე და მმართველობითა სრული“ წმიდა მამა დავით გარეჯის ლავრაში მოღვაწეობდა, ბიოგრაფიული ცნობები წმიდა ანტონის შესახებ არ შემონახულა, მაგრამ მხოლოდ ის ფაქტი, რომ „მას „სახელ-სდევს ქართველთა მზედ“ ბევრ რამეზე მეტყველებს.

წმიდა მამები ერთად მოღვაწეობდნენ ღვთის სადიდებლად და ქვეყნის სასარგებლოდ. ქვეყანა კი ამ დროს საოცრად დატყვევებული და განადგურებული იყო: მონღოლთა შემოსევებით განმარტებულ მოსახლეობაში იძვლებოდა ურწმუნოებამ, თვით წმიდა მეფე დემეტრე თავდადებულიც აღერია უნესობაში, მაგრამ იყვნენ ღვთისა და ერის წინაშე თავდადებულნი, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ხალხის ქრისტესკენ მობრუნებას.

კათოლიკოსმა ნიკოლოზმა მეფე დემეტრე ამხილა უსჯულთობაში. მეფის ურწმუნოებამ კათოლიკოსი აიძულა, თავისი ნებით დაეთმო საპატრიარქო ტახტი და უბრალო განდევნილი ბერის ცხოვრებით ეცხოვრა. წმიდა ათონის მთიდან ჩამოვიდა მონაზონი ბასილი, მანაც უშიშრად ამხილა მეფე.

სადღვთო მადლით გაბრწყინებული მამებმა პიმენმა და ანტონმა კარგად იცოდნენ, თუ მეფე და მთავრები შეინანებდნენ, შეინანებდა ხალხიც, და ამიტომ მათ ერზე ზრუნვა მეფის დამოძღვრითა და მხილებით დაიწყეს. „ქართლის ცხოვრებაში“ წერია, რომ წმიდა ბერები ამხელდნენ „მეფესა და ყოველსა ერსა, გარნა არარაი ისმინეს“.

ბერებმა სალოსობის, მეფისა და ერის მხილების საოცრად დიდ და გაბედულ ღვაწლს წარმართეს შორის ქადაგებაც დაუმატეს. უამთაღმწერელი მოგვითხრობს, რომ წმიდა პიმენმა „ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცია, რომელნი ჰვიან სარწმუნეობასა ქრისტესა“.

ღვთის ნებითა და წმინდანთა ლოცვით აღსრულდა წმიდა პიმენ სალოსისა და ანტონი მესხის დიდი სურვილი — მეფე დემეტრემ არა მარტო თავისი უსჯულოება შეინანა, არამედ მონაშობიერი სიკვდილით დაასრულა სიკოცხლე. ერი ფეხზე წამოდგა, მისთვის თავდადებული ბერები წმიდათა დასში შერაცხა და მათი ხსენება ერთად დააწესა.

რაც შეეხება ქართველ საეკლესიო მოღვაწეს, მწერალსა და კალიგრაფს — გაბრიელ მცირეს, მისი ბიოგრაფიის შესახებ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. იგი დაბადებულია 1745-1755 წლებს შორის და გარდაცვლილა 1802 წლის 11 მარტს.

ალ. ხახანაშვილის ცნობით, გაბრიელი თბილისში ცხოვრობდა, ხელოვნებით მკერვალი, რომელსაც ღვთის სიყვარულით დაუტყვევია სახლი, დედა, ძმანი და მეგობრები, ასევე ყოველივე მონაგები და ნასულა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, სადაც აღკვეცილა მონაზვნად. ზუსტი წელი, როდის აღიკვეცა გაბრიელი, მითითებული არ არსადაა, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს უნდა მომხდარიყო 1772-1773 წლებში.

გაბრიელი სულიერ შვილად აუყვანია ეფთვიმე (მჭედლიშვილი) წინამძღვარს, მისი მეორე სულიერი მამა და მოძღვარი ყოფილა მღვდელმონაზონი დანიელი (ანდრონიკაშვილი), რომელიც განუყრელად მასთან იმყოფებოდა.

გაბრიელ მცირეს თავისი წვლილი შეუტანია ქართული მწერლობის ისტორიაში. კ. კეკელიძის ცნობით, მას მოღვაწეობა დაუწყია 1780 წლიდან. მწერლობის, როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე იმ დროის გამორჩეულ პირთა დაკვეთით (გაბრატი და ფარნავაზ ბატონიშვილების, ენისელთ მოურავის ძის, ნინოწმინდის მიტროპოლიტისა და რუსთავის მთავარეპისკოპოს სტიფანეს) გადაუწერია სხვადასხვა ხელნაწერი. ამ მხრივ აღსანიშნავია:

- 1) „მღვდელმთავრისა ლიტურგიისა განმარტებაი სახისმეტყველებითი, ვითარმედ ყოვლსავე მღვდელმოქმედებასა მისსა საიდუმლოებითი ძალი უპყრიეს“;
- 2) „მეექვსე მსოფლიო კრე-

ღვთისა და ერის წინაშე თავდადებულნი



გაბრიელ მცირეს ხატი

ბის სჯულის კანონისთვის (ექვთიმე ათონელის თარგმანი) დაურთავს ვრცელი „მაჩვენებელი“ და ბოლოსიტყვაობა, ნინოწმინდაში მცირე თავისი თხოვნით 1791 წელს; გაბრიელის ლიტურგიაში მოღვაწეობის მხრივ აღსანიშნავია მის მიერ შედგენილი ასკეტიკურ-ჰომილეტიკური შინაარსის კრებულები:

- 1) „ღმრთივემეფიერი თხრობანი, სულთა ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების „გვირგვინი“;
- 2) „ღმრთივე-განათლებულნი დაუწყია 1780 წლიდან. მწერლობის, როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე იმ დროის გამორჩეულ პირთა დაკვეთით (გაბრატი და ფარნავაზ ბატონიშვილების, ენისელთ მოურავის ძის, ნინოწმინდის მიტროპოლიტისა და რუსთავის მთავარეპისკოპოს სტიფანეს) გადაუწერია სხვადასხვა ხელნაწერი. ამ მხრივ აღსანიშნავია:
- 1) „მღვდელმთავრისა ლიტურგიისა განმარტებაი სახისმეტყველებითი, ვითარმედ ყოვლსავე მღვდელმოქმედებასა მისსა საიდუმლოებითი ძალი უპყრიეს“;
- 2) „მეექვსე მსოფლიო კრე-

პრომთა პაპის „დილოლონი“ და პარაკლისთა კრებულნი. გაბრიელის ლიტურგიაში მოღვაწეობის მხრივ აღსანიშნავია მის მიერ შედგენილი ასკეტიკურ-ჰომილეტიკური შინაარსის კრებულები:

- 1) ჰაგიოგრაფიული ძეგლი „ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა და ნეტარისა მამისა წვევისა სქემოსანის იონისიფორესა“;
- 2) „ღმრთივე სულიერნი თხრობანი, სულთა ღმრთის მოყვარეთა, ფრიად სარგებელნი“;
- 3) მემუარული „თხრობანი“ და სხვ.

გაბრიელი თავის კრებულებში ცნობებს იძლევა იოანე მანგლელის, იოსებ არხიერის, იოანე დიაკონის, ბესარიონის, ზენონის, სერაპიონის, სქემოსანის ონისიფორეს, იოანე ნინოწმინდელის, სვიმონის, ზაქარიას, ილარიონის, ანტონის, ეფთვიმის, დიმიტრის, არსენის, მაკარის, იოანე სეფენულისა და სხვათა შესახებ. ყველა აქ ჩამოთვლილ პიროვნებაზე ერთნაირი რაოდენობის ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, ზოგი უბრალოდ ნახსენებია, ზოგს სასწაული მიუწერება, მაგრამ ამ ცნობების მნიშვნელობა მაინც დიდია. ასევე აღსანიშნავია, რომ კრებულებში არსებულ თხზულებათაგან გამოკრეფილ მასალას, ყოველი კრებულის სათაურსა და შემადგენელი თავების რაოდენობა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.



სადღვთო მადლით გაბრწყინებულმა მამებმა პიმენმა და ანტონმა კარგად იცოდნენ, თუ მეფე და მთავრები შეინანებდნენ, შეინანებდა ხალხიც, და ამიტომ მათ ერზე ზრუნვა მეფის დამოძღვრითა და მხილებით დაიწყეს. „ქართლის ცხოვრებაში“ წერია, რომ წმიდა ბერები ამხელდნენ „მეფესა და ყოველსა ერსა, გარნა არარაი ისმინეს“.

ბერებმა სალოსობის, მეფისა და ერის მხილების საოცრად დიდ და გაბედულ ღვაწლს წარმართეს შორის ქადაგებაც დაუმატეს. უამთაღმწერელი მოგვითხრობს, რომ წმიდა პიმენმა „ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცია, რომელნი ჰვიან სარწმუნეობასა ქრისტესა“.

გაბრიელი თავის კრებულებში ცნობებს იძლევა იოანე მანგლელის, იოსებ არხიერის, იოანე დიაკონის, ბესარიონის, ზენონის, სერაპიონის, სქემოსანის ონისიფორეს, იოანე ნინოწმინდელის, სვიმონის, ზაქარიას, ილარიონის, ანტონის, ეფთვიმის, დიმიტრის, არსენის, მაკარის, იოანე სეფენულისა და სხვათა შესახებ. ყველა აქ ჩამოთვლილ პიროვნებაზე ერთნაირი რაოდენობის ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, ზოგი უბრალოდ ნახსენებია, ზოგს სასწაული მიუწერება, მაგრამ ამ ცნობების მნიშვნელობა მაინც დიდია. ასევე აღსანიშნავია, რომ კრებულებში არსებულ თხზულებათაგან გამოკრეფილ მასალას, ყოველი კრებულის სათაურსა და შემადგენელი თავების რაოდენობა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

ღვთის ნებითა და წმინდანთა ლოცვით აღსრულდა წმიდა პიმენ სალოსისა და ანტონი მესხის დიდი სურვილი — მეფე დემეტრემ არა მარტო თავისი უსჯულოება შეინანა, არამედ მონაშობიერი სიკვდილით დაასრულა სიკოცხლე. ერი ფეხზე წამოდგა, მისთვის თავდადებული ბერები წმიდათა დასში შერაცხა და მათი ხსენება ერთად დააწესა.

მომზადდა წიგნიდან „ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2004 წ.



დავითთბარეჯა



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

სხვის იმედზე მყოფი და მხოლოდ სხვისი ხელის შემყურე ქვეყანა ვერასოდეს გახდება ძლიერი სახელმწიფო, მეტიც — ყოველთვის დაბალ ლობზე იქნება მიჩნეული ძლიერთა თვალში. ამჯერადაც ეს ბუდე გვარგუნი განგება, თუმცა რას ვერჩით განგებას, ჩვენ თვითონ ჩვენზე უმოქმედობით, სიზარმაცითა თუ დაუდევრობით შევქმენით ეს რეალობა და არამხოლოდ პოლიტიკურად, ეკონომიურადაც ჩამოვყვირდეთ სხვა სახელმწიფოებს — უარი ვთქვით მინის დამუშავებაზე, ზენათესვაზე და ეს წინაპართა ოფლით მორწყული მინა ლანგრით მივართეთ უცხოელებს გროშების სანაცვლოდ: აჰა, ახლა თქვენ ღვარეთ ოფლი და თავიც იმტვრეთ, ჩვენ ხელი დაგვიბანიაო... და ამ „დაბანული ხელებით“ სხვა პროდუქტებთან ერთად სხვის მინაზე მონულ პურს დღემდე უდარდელად მივირთმევთ... არადა, ქართული ხორბლის ხარისხზე ბევრს საუბრობდა ილია ჭავჭავაძეც და თავის თანამედროვეებს დასაბუთებულად უხსნიდა ოფლის მურნეობის ამ დარგის განვითარების აუცილებლობას. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ სასიკეთო ნაბიჯები არც ჩვენს თანამედროვე ხელისუფლებებს გადაუდგამთ, რომლებიც იჩემებდნენ ილიას გზის ერთგულებას. და გვაქვს კიდევ არასახარბიელო რეალობა: მთლიანად სხვაზე ვართ დამოკიდებულნი და ნაკლებად ვფიქრობთ: ერთხელაც იმ სხვამ უარი რომ გვითხრას, მერე რასა ვიქვით?

სხვის იმედსა და დახმარებაზე ქვეყნის მომავლის დამყარება მხოლოდ ფუჭი ოცნება და იმედების გაცრუება რომაა, ეს არა ერთხელ იწვინა ჩვენმა ქვეყანამ. ქართულ-ევროპული ურთიერთობის ისტორიამ ამ მხრივ ბევრი საყურადღებო ფაქტი შემოგვინახა და ცხადად დაგვანახვა, რომ ყველა ქვეყანა, რომლებსაც კი მივაძეკით დახმარების სათხოვნელად, უპირველესად იმაზე ფიქრობდა, თვითონ რა სარგებელს ნახავდა ჩვენგან. ამის საუკეთესო მაგალითია სულხან-საბას მოგზაურობა ევროპაში.

ისტორიკოსი ილია ტაბაღაძის წლების განმავლობაში მუშაობდა საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთისა და გერმანიის არქივებში. მის ნაშრომში „ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები“ მოთხრობილია დიდი ქართველი მამულ-იშვილის მღვდლად ევროპული ოდისეა. ნაშრომი შეიცავს ძალზე საყურადღებო ინფორმაციებს XVIII საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, რომელიც მკითხველს კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაანახვებს იმ დიდ იმედგაცრუებას, რომელსაც ევროპის მომედვე საქართველო განიცდიდა.

ცნობილია, რომ საფრანგეთის მეფე ლუი XIV-მ სულხან-საბა ორბელიანს მიიღო. როგორც ილია ტაბაღაძე წერს, მეორე მიზეზის დროს სულხან-საბა ორბელიანს ჰქონდა რომის პაპისა სარეკომენდაციო წერილი. ამ დროს ვერსალში უკვე ჰქონდა: სულხან-საბას მიერ წარდგენილი მემორანდუმი საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ; ასევე ვრცელი მემორანდუმი საქართველო-საფრანგეთის შორის შესაძლებელი ეკონომიკური, პოლიტიკური, სავაჭრო და სამხედრო ურთიერთობის შესახებ; საქართველოს რუკა და საქართველოს მეფეების გენეალოგია. ყოველივე ეს მიუთითებს სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის საფუძვლიანად მომზადებაზე.

საფრანგეთის სამეფო კარზე საქართველოს ელჩის მოლაპარაკების დროს იხილებოდა შემდეგი საკითხები:

- * ირანის ტყვეობიდან ვახტანგის განთავისუფლება და მისი თბილისში ქრისტიან მეფედ დაბრუნება;
- * მისიონერების გაგზავნა საქართველოში (როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში), რასაც უნდა მოჰყოლოდა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება არა მარტო საქართველოში, არამედ მის მეზობელ მხარეებშიც;
- * საქართველოს ტერიტორიის სავაჭრო გზად და თბილისის საქონლის სანყობებად გამოყენება;
- * საქართველოსა და საფრანგეთს შორის ვაჭრობის დამყარება;
- * საქართველოსა და საფრანგეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის დამყარება;
- * საქართველოში (თბილისში) საფრანგეთის საკონსულოს შექმნა და სხვ.

...მაგრამ საფრანგეთში არსებობდა ორი ჯგუფი: ერთ ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნდა საქართველოსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის სათვის ზემოხსენებული საკითხების დადებითად გადაჭრა; ხოლო მეორე ჯგუფი აჭიანურებდა საქართველოს მიმართ რაიმე გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას და ყოველივე ამას უკავშირებდა ირანის ელჩის ჩამოსვლას.

ირანის ელჩის მოლოდინმა (რომლის ირანიდან წამოსვლის შესახებ უკვე იცოდნენ ვერსალში) შეაჩერა საქართველოს საქმეები საფრანგეთში. სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიურ მისიას დიდად შეუშალა ხელი ირანის ელჩის, მუჰამედ რეზა ბეგის, ჩასვლამ საფრანგეთში 1714 წლის ოქტომბერში. ამ ელჩობის წარმომადგენლები უფრო ადრე (იმავე წლის ივლისში) ჩავიდნენ მარსელში და უკვე მოქმედებდნენ სულხან-საბას მისიის საწინააღმდეგოდ.

ისფაჰანის სამეფო კარმა, შესაძლოა, ამიტომაც დააჩქარა ელჩის გაგზავნა საფრანგეთში.

1535 წელს თურქეთთან პირველი საკაპიტულაციო ხელშეკრულების დადების შემდეგ საფრანგეთმა მჭიდრო კავშირი დამყარა ამ ქვეყანასთან. ამ დროიდან საფრანგეთში იქმნება აზრი იმის შესახებ, რომ თურქეთისა და საქართველოს გავლთ, ე. ი. სახმელეთო გზით დაამყარონ სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობა ირანთან. ეს აზრი განსაკუთრებით გაძლიერდა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში საფრანგეთი შეძლებდა, გვერდი აეღო საზღვაო გზებისთვის, სადაც ინგლისი და ჰოლანდია იყვნენ გაბატონებულნი. სწორედ სახმელეთო გზის შესწავლა წარმოადგენდა ფრანგი მოგზაურების ერთ-ერთ ამოცანას.

ფრანგი მისიონერები ყოველივე ამას აკეთებდნენ ან გეგმავდნენ, პირველ რიგში, საკუთარი კოლონიური ინტერესების განხორციელებისთვის — ახლო და შუა აღმოსავლეთში ნაერთმიათ გავლენის სფეროები ინგლისისა და ჰოლანდიისთვის, შეიქმნებინათ რუსეთის წინსვლა სამხრეთისკენ, შეიქმნათ დასავლეთი საფრანგეთის ვაჭრობისა და კათოლიკური სარწმუნოებისთვის აღმოსავლეთში, რომლის ცენტრში იქნებოდა ძრისტიანული (შემდგომში გაკათოლიკებული) საქართველო.

სხვის იმედზე გყოფი და მხოლოდ სხვისი ხელის შემყურა ქვეყანა ვერასოდეს გახდება ძლიერი სახელმწიფო



ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი და საქართველოს სხვა პოლიტიკური მოღვაწეები, როგორც ადრე დასავლეთ ევროპის ორიენტაციისკენ, ახლა საბოლოოდ დაჩვენდნენ, რომ საქართველო ვერ შეინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას დასავლეთ ევროპის იმედით

1708 წლის სექტემბერში ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-ირანის ხელშეკრულება. ამიერიდან საფრანგეთი აქტიურად მოქმედებდა ირანში ინგლისისა და ჰოლანდიის წინააღმდეგ.

1715 წლის აგვისტოში ვერსალში ხელი მოაწერეს საფრანგეთ-ირანის მეორე ხელშეკრულებას მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ. ეს იყო ფრანგების ახალი წარმატება ირანში საკუთარი პოზიციების განმტკიცების საქმეში.

ამასთანავე, ვერსალში არსებობდა პროექტი, რომელიც გულისხმობდა საფრანგეთის გაბატონებას სპარსეთის ყურეში: საკითხი ეხებოდა მარკატიოს დაპყრობას, რომელიც კონტროლს უწევდა ირანის ორ ნაწილს; საფრანგეთი მისი დაკავებით ჩაკეტავდა ირანს სამხრეთიდან, ხოლო მის ჩრდილოეთით მდებარე საქართველო საფრანგეთის პოკავშირე იქნებოდა. „საფრანგეთი დაეხმარებოდა საქართველოს, თუ სპარსეთი შეეცდებოდა, ხელი შეეშალა მისი დამოუკიდებელი განვითარებისთვის“, — ნათქვამია ამ პროექტში. ასე რომ, ირანი გახდებოდა დამოკიდებული „ფრანგებსა და ქართველებზე“.

ასეთ პირობებში კათოლიკური სარწმუნოება მიიღებდა თავისუფალი მოქმედების საშუალებას... გათვალისწინებული იყო, აგრეთვე, ამიერკავკასიაში იდვი კათოლიკური სახელმწიფოს შექმნა, მათ შორის სომხებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების გაკათოლიკება.

საფრანგეთში ეს მოდათ, რომ დასავლეთ საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი დაკავშირებული იყო თურქეთთან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსი — ირანთან. ფრანგ მეცვეურთა იმ ჯგუფს, რომელსაც რეალურ საკითხად მიაჩნდა საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, თავისებურად ჰქონდა ეს წარმოდგენილი: საფრანგეთი საქართველოს გამო კი არ გაამწვავებდა ურთიერთობას თურქეთთან და ირანთან, არამედ ორივე ამ ქვეყანასთან ნორმატიული ურთიერთობის პირობებში განახორციელებდა თავის სავაჭრო-პოლიტიკურ კავშირს ქრისტიანულ საქართველოსთან, რომელიც მისი ერთ-ერთი საიმედო პლაცდარმი უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთში; საქართველოში უნდა შექმნილიყო საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია, რომელიც დაუკავშირებოდა ირანში არსებულ საფრანგეთის სავაჭრო კომპანიას, ხოლო შემდეგ საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიას. ამრიგად, უნდა შექმნილიყო სავაჭრო გზა — შავი ზღვა-საქართველო-ირანი.

ასე რომ, ისინი აუცილებლად არ თვლიდნენ, საფრანგეთს დაეთმო თავისი სავაჭრო-პოლიტიკური ინტერესები ირანსა და თურქეთში საქართველოსთან ურთიერთობის გამო. ამასთანავე, საფრანგეთს სჭირდებოდა თურქეთი და ირანი რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს

უკვე ენერგიულად მიიწვედა სამხრეთისკენ.

ცხადია, ფრანგი მეცვეურები ყოველივე ამას აკეთებდნენ ან გეგმავდნენ, პირველ რიგში, საკუთარი კოლონიური ინტერესების განხორციელებისთვის — ახლო და შუა აღმოსავლეთში ნაერთმიათ გავლენის სფეროები ინგლისისა და ჰოლანდიისთვის, შექმნებინათ რუსეთის წინსვლა სამხრეთისკენ, შეექმნათ დასავლეთი საფრანგეთის ვაჭრობისა და კათოლიკური სარწმუნოებისთვის აღმოსავლეთში, რომლის ცენტრში იქნებოდა ქრისტიანული (შემდგომში გაკათოლიკებული) საქართველო.

...1715 წლის 1 სექტემბერს გარდაიცვალა ლუი XIV. ვერსალში ხელმოწერილ იქნა მემორანდუმი პირებში, რომლებზეც საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობაში ზემოხსენებული გეგმის განხორციელების მომხრენი იყვნენ, ხოლო საფრანგეთის ახალ ხელმძღვანელებს სხვა გეგმები და ინტერესები ჰქონდათ.

ვახტანგ VI დარწმუნდა, რომ საფრანგეთიდან დახმარებას ვერ მიიღებდა. დასავლეთ ევროპასთან კავშირის მისმა გეგმამ კრახი განიცადა. იგი იძულებული გახდა, ფორმალურად მიეღო მამამადიანობა, რათა დაბრუნებულიყო საქართველოში და კვლავ დაეკავებინა ქართლის მეფობა; კვლავ გაუთულდა ურთიერთობა ირანის შაჰთან — არ დაეხმარა შაჰს ავღანელების წინააღმდეგ და არც თავისი შვილი, ბაქარი, გაუშვა მის დახმარებად.

ახლა ვახტანგის მთელი ყურადღება რუსეთისკენ იყო მიპყრობილი. რუსეთის იმპერატორის არმია წინ მიიწვედა სამხრეთისკენ და უახლოვდებოდა ირანის საზღვრებს. ვახტანგ რუსეთის ჯარების დახმარების იმედი მიეცა. იგი შეეცადა, დაემყარებინა კონტაქტი პეტრე I-თან და მისი ჯარების დახმარებით გადაერჩინა საქართველო განსაცდელისგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ვახტანგს აქაც არ გაუშვარდა.

საქართველოს ერთდროულად ორი მხრიდან, თურქეთიდან და ირანიდან, ემუქრებოდა დაუძინებელი მტერი. ასეთ მძიმე პირობებში ვახტანგ VI-მ კიდევ ერთხელ მიმართა დასავლეთ ევროპას დახმარებისთვის: მან წერილები მისწერა რომის პაპსა და ავსტრიის იმპერატორს; მათ შესთავაზა კავშირი, რათა ამ გზით გადაერჩინა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ვახტანგის ეს ნაბიჯიც უშედეგოდ დარჩა.

თუმცა აღაშქარი შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და თბილისისკენ მიიწვედა. შაჰ თამაზის ნაქეზებითა და დაღესტნელი ტომების მხარდაჭერით თბილისს უტეკდა კახეთის გამაჰმადიანებული მეფე კონსტანტინეც. მათ თბილისი აიღეს და გაძარცვეს. მალე თბილისი თურქებმაც აიღეს და ხელახლა გაძარცვეს იგი.

ამ მეტად მძიმე პირობებში საქართველო მარტო აღმოჩნდა. ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი და საქართველოს სხვა პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ადრე დასავლეთ ევროპის ორიენტაციისკენ იყვნენ, ახლა საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საქართველო ვერ შეინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას დასავლეთ ევროპის იმედით. საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის მათ რეალურ საშუალებად ვახტანგისა და თბილისისკენ მიმართულ უცხოელ დამპყრობებს და აღადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობას. სამწუხაროდ, მისი არც ეს ვარაუდი გაპარტოდა.



2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც პარიზში უნდა გაიმართოს, ალბათ, დადგება მომენტი, როცა შეჯიბრებაში ტრანსგენდერების მონაწილეობას მკაცრი წესებით დაარბილებენ ან, სავარაუდოდ, აკრძალავენ, მაგრამ იმ პერიოდისთვის ქალთა სპორტმა შეიძლება აღარც იარსებოს.

ყოფილმა მამაკაცმა ლია ტომასმა, რომელიც 2 წლის წინათ მამაკაცთა შეჯიბრებებში გამოდიოდა, აშშ-ში გამართულ ტურნირში ტოკიოს ოლიმპიადის პრიზიორი ქალები დაამარცხა და ჩემპიონობა მოიპოვა. ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც 2020 წლის ნაცვლად 2021 წლის ზაფხულში გაიმართა, ახალზელანდიელმა ძალბანმა, ტრანსგენდერმა ლორელ ჰაბარდმა ქალთა შეჯიბრებაში ვერ შეძლო ვერც ერთი წონის დაძლევა და ასეთი ადამიანების სპორტში მონაწილეობაზე დისკუსია ჩაცხრა, მაგრამ, როგორც ჩანს, ცოტა ხნით. სამედიცინო სტატისტიკის თანახმად, ყველაფერი ახლა იწყება.

რას ამბობენ სპორტისტები

ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ ერთ-ერთმა ექიმმა, რომელიც ასეთ პაციენტებთან მუშაობს, განაცხადა:

1. ადამიანების რაოდენობა, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ გენდერული თვითდენტიფიკაციის პრობლემით, ყოველწლიურად მატულობს — გასული საუკუნის ბოლოდან დღემდე ასეთი მიმართულების რაოდენობამ ზოგიერთ ქვეყანაში 20-ჯერ მოიმატა, აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა მოზარდია;

2. გენდერული იდენტობის პრობლემა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ახალ კლასიფიკაციაში განსაზღვრულია, როგორც დაავადება, და ამ პრობლემას უნდა უმკურნალონ, როგორც, მაგალითად, გრიპს ან კორონავირუსს;

3. ამ პრობლემის გადასაწყვეტად სპორტში ჯერ არაფერი მოფიქრებული არ არის, გარდა ტესტოსტერონის შეზღუდვისა, რადგან შეიძლება მოხდეს ტრანსგენდერების ან მათი მონაწილეობის დისკრიმინაცია.

სწორედ მონაწილეობის დისკრიმინაციაზე ლაპარაკი ქალ მოცურავეთა ტურნირში, რომელიც აშშ-ში გაიმართა.

ტრანსგენდერმა ოლიმპიადის პრიზიორმა დაამარცხა

ლაპარაკია 22 წლის ლია ტომასზე, რომელიც მონაწილეობს ქალთა შეჯიბრებებში, თუმცა 2 წლის წინათ იყო მამაკაცი და ერქვა უილი. აშშ-ში მწვავედ კამათობენ ტრანსგენდერების მონაწილეობაზე ქალთა სპორტში — რესპუბლიკელების კონტროლს დაქვე...

ემდებარებულ ზოგიერთ შტატში მსგავსი პრაქტიკა აკრძალულია, მაგრამ პენსილვანიაში არ ეწინააღმდეგებიან. ტომასის ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდში გამოდის და მას, როგორც უჩვეულო სპორტსმენ ქალს, მხარს უჭერს სტუდენტური სპორტის ეროვნული ასოციაცია (NCAA).

სწორედ ამ ასოციაციის ტურნირი მოიგო ტომასმა რამდენიმე დღის წინათ. უნდა ითქვას, რომ ეს არის ეროვნული მასშტაბის პრესტიჟული და წარმომადგენლობითი შეჯიბრება. ტომასმა მოუგო ტოკიოს ოლიმპიადის პრიზორებს — ემა ვინანტსა და პერიკა სალივანს, მანამდე კი დაამხო აშშ-ის რეკორდი რამდენიმე დღის წინათ — 200 და 1500 იარდზე (1 იარდი — 0,9 სმ) კროლით.


ფინალი სპორტისტო აქციით

ტომასმა ამჯერად მოიგო სტუდენტური ჩემპიონატი 500 იარდზე ცურვაში. ამ მოვლენამ ეროვნული მასშტაბის შეიქმნა, რადგან გულშემატკივარმა გოგონებმა Standing For Women-ის ჯგუფიდან პირდაპირ საფინალო გაცურვისას მოაწყვეს საპროტესტო აქცია. მათ ეჭირათ პლაკატები ლოზუნგებით: „მხარი დაუჭირეთ სამართლიან სპორტს ქალებისა და გოგონებისთვის!“, „გადაზარალებულთა სპორტი“

ერთ-ერთი ბრიტანელი აქტივისტის, კინის, დილოგი სხვა მაყურებელთან სოციალური ქსელების მილიონობით მომხმარებელმა ნახა.

კინი ამტკიცებდა, რომ „ეს შეჯიბრება არის ქალებისთვის, ის კი (ტომასი — ნ.კ.) ქალი არ არის“. როცა პკითხეს — „თქვენ რა იცით, ბიოლოგი ხართ?“, ბრიტანელმა ქალმა უპასუხა: „მე არ ვარ ვეტერი-

ეს სპორტი აღარ არის — ნაკასარმა ქალთა შეჯიბრებაში ოლიმპიური პრიზიორები დაამარცხა



ლია ტომასი



შეჯიბრების შედეგების წინააღმდეგ თაყიანობის პროტესტი გაიშალა არა მხოლოდ გულშემატკივრებში, არამედ სპორტსმენებშიც. დაჯილდოების სერიაში უნდა პრიზიორებმა: ემა ვინანტსა და პერიკა სალივანს კარგად გასული ბრუე ფორდი და ერთად დადგნენ. ადრე ტომასის საწინააღმდეგო წერილს ხელი მოაწერა 16-მა მოცურავემ პენსილვანიის უნივერსიტეტის გუნდიდან და მისთვის შეჯიბრებებში გამოსვლის აკრძალვა მოითხოვა მანამდე, სანამ ტრანსგენდერი ჰორმონული თერაპიის დამატებით კურსს არ გაივლიდა. შეჯიბრებებში ლია ტომასის მონაწილეობას აკრიტიკებდნენ 23-გზის (!) ოლიმპიური ჩემპიონი მაიკლ ფელსი და ცნობილი ამერიკელი მწვრთნელი შარონიკა მელონი, რომელიც, ვერ დაიჯერებთ, ადრე თვითონ იყო კაცი. სტუდენტურ ტურნირს წესების გამკაცრების მოთხოვნით მიმართა 72 წლის მწვრთნელი მაიკლ ჯენინგსი — გავეცივებთ, მაგრამ კიდევ ერთმა ტრანსგენდერმა, რომელიც 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა, როგორც მამაკაცი, ბრუს ჯენერია.

მსოფლიო სპორტი გზაჯვარედინზე

ყოფილი უილი, ამჟამად ლია, საკმაოდ დიდია — 190 სმ-ის სიმაღლის, კუნთები და შედეგები მამაკაცისა აქვს. აქ უნდა გაეხსენოთ ექიმის სიტყვები ტესტოსტერონის შესახებ. თუ აშშ-ის ცურვის ფედერაციამ ტომასის წარმატებების ფონზე სასწრაფოდ გამკაცრა წესები და შეამცირა მინიმალური ზღვარი 1 ლიტრზე ნაწომოლეების რაოდენობაზე, სტუდენტური სპორტის ასოციაციამ ამაზე უარი განაცხადა. სახელდობრ, ამის გამო გაიყო საზოგადოებაც და არავინ იცის, რა მოუხერხონ ტომასს.

კიდევ ერთ ტომასს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელ ტომას ბასს, ალბათ, ურჩევნია, მოცურავე ლია ტომასმა სხვა გარდაცვალების გამოძეგნოს და არ გამოჩნდეს.

2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც პარიზში უნდა გაიმართოს, ალბათ, დადგება მომენტი, როცა შეჯიბრებაში ტრანსგენდერების მონაწილეობას მკაცრი წესებით დაარბილებენ ან, სავარაუდოდ, აკრძალავენ, მაგრამ იმ პერიოდისთვის ქალთა სპორტმა შეიძლება აღარც იარსებოს.

მოამზადა ნიკა კორინთიძე

გენდერული იდენტობის პრობლემას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ახალ კლასიფიკაციაში განსაზღვრულია, როგორც დაავადება, და ამ პრობლემას უნდა უმკურნალონ, როგორც, მაგალითად, გრიპს ან კორონავირუსს



ლორელ ჰაბარდი

ჩინეთი პოიტსოვს: აუუ-გა მსოფლიოს უნდა აუხსნას მისი სამხედრო-ბიოლოგიური საქმიანობის მიზანი

აშშ-ის ხელისუფლებამ უნდა აუხსნას საერთაშორისო თანამეგობრობას რუსეთის მიერ უკრაინაში გამოვლენილი ამერიკული სამხედრო-ბიოლოგიური საქმიანობის მიზანი, — განაცხადა ჩინეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, უფროსმა პოლიკოვნიკმა უ ძიანმა.



სო კონვენციებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ამომწურავი ახსნა-განმარტება მოგვცეს უცხოეთში განხორციელებულ თავის სამხედრო-ბიოლოგიურ პროგრამებზე და დათანხმდეს მათ მრავალმხრივ შემოწმებას.

ჩინეთის თავდაცვის უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პეკინი გამოდის ბიოლოგიური იარაღისა და ამ სფეროში რაიმე სამუშაოების ჩატარების სრულიად აკრძალვის ინიციატივით. „აშშ-მა მსოფლიოს მკაცრად უნდა მოეთხოვოს, განუმარტოს, რა ხდება ამ სფეროში“, — განაცხადა ჩინელმა პოლიკოვნიკმა.

eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა



«ვიცით მსოფლიოს შანსი!»

კლუბი «ცრვენა ზეზდას» (ბელგრადი, სერბეთი) გულშემატკივრებმა ევროპის ლიგის მატჩის მიმდინარეობისას გააშალეს პლაკატი, რომელზეც ჩამოთვლილი იყო აშშ-ის ინტერვენციები სხვადასხვა სახელმწიფოში და ეწერა: „ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაპირებთ — მივიტოვოთ მსოფლიოს შანსი, შიიტყოს“.

ლანდიის „რენჯერსთან“ მატჩის მიმდინარეობისას ჩამოთვალეს 20-ზე მეტი შეიარაღებული კონფლიქტი მსოფლიოში, 1950 წლიდან დღემდე, და ქვეშ მიაწერეს: „ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაპირებთ — მივიტოვოთ მსოფლიოს შანსი, შიიტყოს“.

ეს იყო გზავნილი დასავლეთისთვის, რომელიც ორმაგ სტანდარტს იყენებს, როცა ცდილობს, გაამართლოს ომების გაჩაღება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

„ცრვენა ზეზდას“ (ერთადერთი სერბული კლუბი, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისი თასები მოიგო 1991 წელს — ნ.კ.) გულშემატკივრებმა მოტ-



ეგანუელ მაკრონი: ევროპას სასურსათო კრიზისი ემუქრება, აფრიკას — შიშველი

საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა ყველას მოუწოდა, სასწრაფოდ შეიქმნას სურსათით უზრუნველყოფის უსაფრთხოების საერთაშორისო გეგმა, რათა თავიდან აიცილონ შიმშილი, ე.წ. მონყვლად ქვეყნებში, განსაკუთრებით აფრიკაში. რადგან, მას შემდეგ, რაც რუსეთმა სამხედრო ოპერაცია დაიწყო უკრაინაში, მკვეთრად დაეცა მარცვლეულის ექსპორტი, — იუწყება ფრანგული რადიო (RFI).

რუსეთი მარცვლეულის უდევს ექსპორტიორთა მსოფლიოში, უკრაინა ამ მხრივ მეოთხეა. ათეულობით ქვეყანა დამოკიდებული რუსეთიდან და უკრაინიდან ექსპორტირებულ მარცვლეულზე და საომარი მოქმედებების გამო ხორბლის ექსპორტი ბევრ ქვეყანაში შეიზღუდა.

eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა

ვინ აპირებს რუსულ ბუნებრივ აირში რუბლს გადამხდეს?

სომხეთი რუსულ ბუნებრივ აირში რუბლს გადამხდის, მოლდოვა უკვე გადამხდა, ბულგარეთი, გერმანია და საფრანგეთი მზად არიან რუბლით ანგარიშსწორებისთვის

პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ რუსეთი უარს ამბობს, ქვეყნებმა ბუნებრივი აირის მიწოდების საფასური გადაიხადონ კომპრომეტირებული ვალუტებით — დოლარითა და ევროთი, ამიტომ ანგარიშსწორება ყველას მოუწევს მხოლოდ რუბლებში.



ასტაბილურობის გამო ცდილობენ, თავი აარიდონ საექსპორტო საქონლის ღირებულების მითითებას რუსულ ვალუტაში. და, თუ ბუნებრივი აირის ფასი რუბლებში იქნება, მინისტრის აზრით, ეს სომეხ ექსპორტიორებს თავდაჯერებულობას შეჰმატებს. შეგახსენებთ: სომხეთი ბუნებრივ აირს რუსეთისგან იღებს — 1 ათას კუბ. მეტრს — 165 დოლარად. 1 აპრილიდან კი სომხეთის მხარეს მოუწევს, „გაზრომს“ ბუნებრივი აირის ზენორმატიული ენერგეტიკული ფასი დაუმატოს. აღსანიშნავია, რომ მოლდოვამ უკვე გადაიხდა მოხმარებული ბუნებრივი აირის ნაწილის საფასური რუბლებში. მოლდოველებმა რუბლები ლეით (მოლდოვური ვალუტა) შეიძინეს, „მოლდოვგაზის“ დირექტორის, ჩაბანის, თქმით, „ეს პროცესი კომპანიისთვის საზარალო არ არის“ და დებულება ბუნებრივი აირის რუბ-

ლებში გადახდის შესახებ უკვე შეტანილია მოქმედ ხელშეკრულებაში.

„ბულგარეთს შეუძლია რუსული ბუნებრივი აირის მიწოდებისთვის რუბლები გადაიხადოს“, — განაცხადა ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრმა.

და ყველა, მათ შორის nasdaq-ის მიერ გამოკითხული ექსპერტები მარჩილობენ, რა ჰქონდა მხედველობაში ბულგარეთის ენერგეტიკის მინისტრს, და რა საიდუმლო „ფინანსური კონტრაგენტი აქვს“ სოფიას ბუნებრივი აირში რუბლების გადასახდელად.

უკან დაიხია გერმანიამაც: ეკონომიკისა და კლიმატის დაცვის მინისტრის როპარტ შაბაქის განცხადებით, რუსულ ბუნებრივ აირში რუბლებით ანგარიშსწორება კერძო კომპანიებს შეეძლებათ.

regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა



ევროპელები სულაური გამოსდომის შემდეგ მიიმა მდგომარეობაში ჩავარდნენ: ევროპის ქვეყნები მას შემდეგ, რაც სანქციები დაუდეს რუსეთს, იძულებულნი არიან, გასამხადებულ ფასად შეიძინონ ბუნებრივი აირი ან გასათხოვად სხვა რესურსი ეპიონ.

www.geworld.ge საქართველო ესტაბლიშმენტი ჩვენს სივრცეში პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეჯია გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ექიანებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6 ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894 საქართველო თუ გზურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საპირიარო მომსახურებით, შვიდიკლიათ დაუპაპვირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74